



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №12

2014 წლის 28 მარტი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანისა და საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 24 ოქტომბრის N90 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანისა და საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 24 ოქტომბრის N90 განკარგულება.

მუხლი 2. დაევალოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების მუდმივმოქმედ სააუქციონო კომისიას (რ. ბიწაძე) 2014 წლის 10 მარტს გამოცხადებული აუქციონების შეწყვეტა.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:



ამირან გიგინეიშვილი